

ტესტის სახელწოდება

საერთო IgE (იმუნოგლობულინ E)

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

IgE (იმუნოგლობულინ E) ანტისხეულია, რომელსაც ადამიანის იმუნური სისტემა გამოიმუშავებს.

ანტისხეულები ცილებია, რომლებიც პლაზმური უჯრედების მიერ სხვადასხვა ანტიგენის საპასუხოდ გამოიყოფა. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბაქტერიების და სხვა მიკროორგანიზმების, ასევე ორგანიზმში მოხვედრილი უცხო ნივთიერებების წინააღმდეგ იმუნური რეაქციის განვითარებასა და მათ გაუვნებელყოფაში.

ანტისხეულებს იმუნოგლობულინებსაც უწოდებენ. არსებობს იმუნოგლობულინების 5 კლასი: IgA, IgG, IgD, IgE და IgM.

IgE კლასის ანტისხეულები ძირითადად ალერგიული რეაქციის განვითარებასა და პარაზიტების საწინააღმდეგო იმუნიტეტთან არიან დაკავშირებული. ჩვეულებრივ, IgE-ს რაოდენობა სისხლში უმნიშვნელოა. თუმცა, თუ ადამიანს ალერგია აქვს, ალერგენტან (ალერგიული რეაქციის გამომწვევი ნივთიერება) კონტაქტის შედეგად ხდება იმუნური სისტემის მიერ კონკრეტულად ამ ალერგენის საწინააღმდეგო IgE-ს გამომუშავება, რის შედეგაც სისხლში ამ ანტისხეულის დონე იმატებს. IgE უკავშირდება ბაზოფილებს. ამის შედეგად ბაზოფილებიდან გამოთავისუფლდება მთელი რიგი ნივთიერებები, მათ შორის, ჰისტამინი. სწორედ ეს ნივთიერებები იწვევენ ალერგიული სიმპტომების განვითარებას, როგორებიცაა კანის ქავილი, კანზე გამონაყარი (ჭინჭრის ციება), თვალების ქავილი, სურდო, ცრემლდენა, სუნთქვის გაძნელება და სხვ. სიმპტომების სიმძიმე სისხლში საერთო IgE-ს დონეს ყოველთვის არ შეესაბამება.

ძირითადი ალერგენებია მცენარეების მტვერი, ცხოველების ბეწვი, თხილი, მარწყვი, კვერცხი და სხვ.

მოცემული ტესტი სისხლში საერთო IgE-ს დონეს განსაზღვრავს და არა კონკრეტული ალერგენის საწინააღმდეგოდ მიმართული IgE-ს დონეს. შესაბამისად, ამ ანალიზის მეშვეობით შეიძლება გამოვლინდეს ალერგიული რეაქციის არსებობა, მაგრამ არა კონკრეტული ალერგენი.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

საერთო IgE-ს ანალიზი შეიძლება დაინიშნოს მაშინ, როდესაც ადამიანს ალერგიული სიმპტომები აღენიშნება, ან როდესაც ეჭვი აქვთ ორგანიზმში პარაზიტების არსებობაზე.

ამ ანალიზის საშუალებით შესაძლებელია ალერგიის გამოვლენა, თუმცა ზოგჯერ მასთან ერთად ალერგენ-სპეციფიკური IgE-ს ანალიზიც შეიძლება დაინიშნოს, რათა მოხდეს ალერგიის კონკრეტული გამომწვევის იდენტიფიცირება.

საერთო IgE-ს ანალიზის გარდა, შესაძლოა ასევე დაინიშნოს ანალიზი ეოზინოფილების რაოდენობის დასადგენად.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

მომზადება საჭირო არ არის.

შედეგების ინტერპრეტაცია

საერთო IgE-ს დონის მომატება შეიძლება გამოწვეული იყოს ალერგიის არსებობით ან პარაზიტებით.

ალერგენტან კონტაქტის შედეგად, ალერგიულ ადამიანში იმატებს ალერგენ-სპეციფიკური IgE-ს და საერთო IgE-ს დონეები. თუმცა, თუ ალერგენტან შეხება წყდება, IgE-ს დონე ისევ იკლებს. შესაბამისად, IgE-ს ნორმალური დონე ალერგიის არსებობას არ გამორიცხავს.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო IgE-ს მაღალი დონის არსებობა ალერგიული რეაქციის არსებობაზე მიუთითებს, ამ ანალიზით არ ხდება კონკრეტული ალერგენის გამოვლენა. იმისთვის, რომ გაირკვეს, რა იწვევს ალერგიას, შესაძლოა საჭირო გახდეს ალერგენ-სპეციფიკური IgE-ს ანალიზის დანიშვნა.